ეროვნული ბიბლიოთეკა




# ფეხბურთი, ფეხბურთი

## სსრ კავშირი — ბელგია 4:1
## ურუგვაი — იტალია 0:0
## რუმინეთი — ჩეხოსლოვაკია 2:1
## პერუ — მაროკო 3:0
## მექსიკა — სალვადორი 4:0
## ისრაელი — შვეცია 1:1
## ინგლისი — ბრაზილია 0:1
## ბულგარეთი — გფრ 2:5

MEXICO 70

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 111 (4105)

1970 წ. 9 ივნისი. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# მეოთხედფინალის კონტურები ისახება

6 და 7 ივნისს მსოფლიო ჩემპიონატზე მექსიკაში მაქსიმალურად დატვირთული დღეები იყო. მეხიკოშიც, პუებლაშიც, გვადალახარაშიც, ტოლუკაშიც და ლეონშიც გაიმართა მეორე ტურის მატჩები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდათ ჯგუფებში ადგილების საბოლოო განაწილებისთვის.

ერთ-ერთ ასეთ დიდმნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა მატჩი მეხიკოში სსრ კავშირისა და ბელგიის გუნდებს შორის. ბელგიელთა ძალა ყველამ კარგად იცის. მას შემდეგ, რაც ამ გუნდმა საკვალიფიკაციო, შესარჩევ ტურნირში უკან მოიტოვა იუგოსლავიისა და ესპანეთის ძლიერი კოლექტივები, მისი აქციები საერთაშორისო სარბიელზე დიდად ფასობს. დაუმატეთ ამას პირველი გამარჯვება ფინალურ ეტაპზე სალვადორელებთან — 3:0. ყველაფერი ეს საფუძველს იძლეოდა იმ პროგნოზისთვის, რომ სსრ კავშირისა და ბელგიის გუნდების შეხვედრა უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში ჩაივლიდა და მის ბედს ერთი ბურთი თუ გადაწყვეტდა.

მატჩი, მართლაც, დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა, მაგრამ შეცდა ის, ვინც ფიქრობდა ერთ-ერთი მხარის მინიმალურ უპირატესობაზე. შეცდა ელექტრულ-გამომთვლელი მანქანაც, რომელმაც თამაშის შედეგი იწინასწარმეტყველა 2:1 საბჭოთა ნაკრების სასარგებლოდ.

ჩვენი გუნდის ხელმძღვანელობამ შეცვალა შემადგენლობა. ბელგიელებთან საბჭოთა ნაკრები ასე გამოიყურებოდა: კავაზაშვილი, ძოძუაშვილი (კისელიოვი), შესტერნიოვი, კაპლიჩნი (ლოვჩევი), ხურცილავა, აფონინი, ასათიანი, მუნტიანი, ევრიუჟიხინი, ბიშოვეცი, ხმელნიცკი. მატჩის დასაწყისში, მე-13 წუთზე, საბჭოთა გუნდის კართან შეიქმნა სახიფათო მომენტი, რომელიც სულ ადვილად შეიძლებოდა დრამატულად დამთავრებულიყო. ფლანგიდან მოწოდებული ბურთი ბელგიელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ვან ჰიმსტმა თავით გაგზავნა კავაზაშვილის კარისკენ. მეკარემ მოიგერია იგი, მაგრამ ბურთი მოხვდა ვან მურთან. ეს იყო კულმინაციური მომენტი. ბელგიელი ფორვარდის უძლიერესი დარტყმა სულ რამდენიმე მეტრის მანძილიდან ძელს მოხვდა და ბელგიელებს ისღა დარჩენოდათ, რომ მოზარე ქალებივით წაეშინათ თავში ხელები.

(დასასრული მე-3 გვ.)

### ბელგიელებთან მატჩში გატანილი გოლების ავტორები



ა. ბიშოვეცი (2)



კ. ასათიანი



ვ. ხმელნიცკი

### I მეხიკო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | ■ | 0:0 | 4:1 | |
| მექსიკა | 0:0 | ■ | | 4:0 |
| ბელგია | 1:4 | | ■ | 3:0 |
| სალვადორი | | 0:4 | 0:3 | ■ |

### II ტოლუკა, პუებლა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ურუგვაი | ■ | 2:0 | 0:0 | |
| ისრაელი | 0:2 | ■ | | 1:1 |
| იტალია | 0:0 | | ■ | 1:0 |
| შვეცია | | 1:1 | 0:1 | ■ |

### III გვადალახარა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | ■ | 0:1 | 2:1 | |
| ინგლისი | 1:0 | ■ | | 0:1 |
| ჩეხოსლოვაკია | 1:2 | | ■ | 1:4 |
| ბრაზილია | | 1:0 | 4:1 | ■ |

### IV ლეონი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პერუ | ■ | 3:2 | 3:0 | |
| ბულგარეთი | 2:3 | ■ | | 2:5 |
| მაროკო | 0:3 | | ■ | 1:2 |
| გფრ | | 5:2 | 2:1 | ■ |

# მეორე ადგილზე

საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლის აღსაზრდელებმა ამას წინათ კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმეს — დნეპროპეტროვსკში, 9 სკოლის გუნდების ტურნირში II ადგილი დაიკავეს. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ დონეცკის, ლვოვის, ზაპოროჟიეს, სევასტოპოლის, ბერდიანსკის, ბრესტის, ნიკოლაევისა და დნეპროპეტროვსკის განათლების განყოფილებათა სპორტსკოლებისა და თბილისელი მძლეოსნები.

თბილისელებმა პირად ტურნირშიც ბევრი საპრიზო ადგილი მოიგეს: თ. დრიაევამ ყველას აჯობა 100 მეტრზე რბენაში — 12,6, 200 მეტრზე კი III ადგილი დაისაკუთრა — 27,0. მან წააგო მხოლოდ დონეცკელ ნ. კონსტანტინოვასთან (26,5) და სევასტოპოლელ ტ. აბიზოვასთან (26,9). 400 მეტრზე რბენაში საუკეთესო გახლდათ ტ. ივანოვა — 1.00,2. მან 0,4 წამით აჯობა მასპინძელ ი. ოსადჩუკს, რომელიც ფინიშთან მეორე მიიჭრა. თბილისელმა გოგონამ II ადგილი დაისაკუთრა 800 მეტრზე შეჯიბრებაში. ამ დისტანციაზე იგი მხოლოდ ლ. ვოლინსკაიას (დნეპროპეტროვსკი — 2.18,0) ჩამორჩა. სიმაღლეზე მხტომელ გოგონათა შეჯიბრება მოიგო ნ. ვლადიმერაშვილმა — 150 სმ.

100 მეტრზე რბენაში გ. ბრეგვაძემ (11,2) ს. პრონინს (დონეცკი) ფინიშთან მკერდით მიასწრო, 200 მეტრზე იმარჯვეს გ. ბრეგვაძემ და ვ. კაკაურიძემ. თანაგუნდელებმა ერთნაირი შედეგები (23,4) აჩვენეს. კაკაურიძემ სიგრძეზე ხტომაც მოიგო — 645 სმ. ვ. პლიევმა და ლვოველმა ი. დვორსკიმ ერთნაირი სიმაღლე (175 სმ) დაძლიეს. პირველობა დვორსკის დარჩა. პლიევი სამხტომშიც მეორე გახლდათ (13,31 მ). გ. ბედოშვილმა ყველას აჯობა ბირთვის კვრაში — 12,07, ც. საყვარაშვილმა — ბადროს ტყორცნაში — 40,08.

უმცროსი ჭაბუკებიდან ბ. მაისურაძემ 200 მეტრზე რბენა მოიგო — 24,8, 100 მეტრზე კი III ადგილი დაიკავა — 12,0. II ადგილებზე გავიდნენ: 800 მეტრზე რბენაში — პ. გახელაძე — 2.22,2, სიმაღლეზე ხტომაში — დ. შენგელია — 155 სმ და სხვ.

გუნდური პირველობა მასპინძლებს დარჩათ. III ადგილზე გავიდა დონეცკის კოლექტივი.

დოდო გელაშვილი.



## მამაცთა კლუბი

უზბეკეთის სსრ. ტაშკენტის დოსააფის ავიასპორტული კლუბი „გავანი". აქ მამაცი ქალიშვილები და ჭაბუკები სათვითმფრინავო და საპარაშუტო სპორტის ხელოვნებას ეუფლებიან. აგვისტოში ტაშკენტელი მფრინავ-სპორტსმენები მოსკოვის საკავშირო ასპარეზობაში მიიღებენ მონაწილეობას. კლუბში ოსტატობას ხვეწენ ჩკალოვის სახელობის საავიაციო ქარხნის ინჟინერი ვალენტინა დიდენკო, ზეინკალი ო. სიგიდინი, ელექტროტექნიკური ქარხნის მეავტომატე რ. მრაკოვი და სხვები. მათს მეცადინეობას ხელმძღვანელობენ ავიასპორტული კლუბის უფროსის მოადგილე საფრენოსნო მზადებაში რ. პოტიომკინა-აბიდოვა, გამოცდილი მფრინავ-ინსტრუქტორები ვ. ბუეზიცკი, ა. სკიდანოვი და სხვები.

ს უ რ ა თ ზ ე: (მარჯვნიდან მარცხნივ) რ. პოტიომკინა-აბიდოვა ფრენის შედეგებს არჩევს რ. მრაკოვთან და რ. სიგიდინთან ერთად.

რ. შამსუტდინოვის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

## ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

### „ილია მურომეცი"

ხოშუნ-უზურსკის (ბურიატეთის ასსრ) IX კლასის მოსწავლე ილია გარმაევი პირველად მონაწილეობდა რუსეთის ფედერაციის ჩემპიონატში, რომელიც ორჯონიკიძეში ჩატარდა და თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკებს შორის IV ადგილი დაიკავა.

არ დაგავიწყდეთ, რომ გარმაევმა სულ 9 დღე ივარჯიშა. საქმე ისაა, რომ იგი ჯერჯერობით მხოლოდ საუცხოო ფიზიკური მონაცემების წყალობით ამარცხებს მეტოქეებს. 16 წლის მოსწავლე ნამდვილი გოლიათია. ტანად იგი 180 სმ-ია, წონით — 93 კგ. სკოლის მასწავლებელი ბ. ცირენოვი ამბობს, რომ ილიას დიდი ფიზიკური ძალა აქვს. იგი კარგ შედეგებს აჩვენებს ბირთვის კვრაში, ბადროს ტყორცნაში. თანატოლები მას სიყვარულით „ილია მურომეცს" ეძახიან, მაგრამ გოლიათი ძალიან მოკრძალებული ყმაწვილია და კარგადაც სწავლობს.

საინტერესოა, რომ თავის სოფელში და ოლქში განთქმული მოჭიდავე ყოფილა ილიას პაპაც, რომელიც ახლა 80 წლისაა, მაგრამ საკოლმეურნეო მინდვრებზე ახალგაზრდებსაც არ უდებს ტოლს.

გარმაევი გატაცებით ვარჯიშობს ჭიდაობაში და მისი პირველი გამოსვლა საიმედო იყო.

ამ ზაფხულს დიდ რესპუბლიკურ სურხარბანში — სპორტის ეროვნულ სახეობათა დღესასწაულში — „ილია მურომეცი" ალბათ კიდევ უფრო გამოიჩენს თავს.

ი. ბუდაევი.
(საკდესის კორ.).

ულან-უდე.

### დობროპოლიე სპორტული ქალაქია

დობროპოლიეს მაღაროელებმა შეასრულეს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების სამწლიანი გეგმა. მეშახტეთა დაბა ბელიცკი ახალმა სპორტის სახლმაც დაამშვენა. სახალხო მშენებლობის წესით აგებულ ამ ახალ ბაზას აქვს სპორტული თამაშების, კრივის, ჭიდაობის დარბაზები, ოთახები სხვადასხვა თამაშისთვის. დობროპოლიეს ახალგაზრდულმა ნაკრებმა გუნდმა ყველას აჯობა დონეცკის ოლქის V სპარტაკიადაში, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამით ჩატარდა.

სულ ცოტა ხნის წინ დობროპოლიე სპორტში ჩამორჩენილად ითვლებოდა. ახლა კი მდგომარეობა შეიცვალა. დაიწყო იმით, რომ ამ რამდენიმე წლის წინ ენთუზიასტებმა ქალაქის განაპირას ერთი ადგილი შეარჩიეს, მინდორი გაწმინდეს და მარტივი ტრიბუნები მოაწყვეს. შაბათობებში ათასობით კაცი მონაწილეობდა. შედეგად ქალაქში 5000-ადგილიანი სტადიონი გაჩნდა. ახლა შენდება მძლეოსნური მანეჟი, სადაც მთელი წლის მანძილზე შეიძლება წვრთნა.

ტრესტ „დობროპოლუგოლის" საწარმოებმა ზეგეგმითი შემოსავლის ნაწილი სპორტის განვითარებისთვის გადადეს. ახლა ყოველ მაღაროს საკუთარი სპორტული ბაზა აქვს. საცხოვრებელ კვარტალებში, ახალგაზრდულ საერთო საცხოვრებლებთან თითქმის ორასი მოედანი მოეწყო.

— ასეთი ბაზის შექმნით მასობრივი სპორტული მოძრაობის ფართოდ გაშლის შესაძლებლობას ვქმნით, — თქვა ტრესტის მმართველმა, სოციალისტური შრომის გმირმა ს. არუთინოვმა, რომელიც ახლა მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს.

ხშირად ტარდება შეჯიბრებები სხვადასხვა სახეობაში, შეიქმნა ჯანმრთელობის ჯგუფები. შარშანდელმა სპარტაკიადამ „შრომისა და დღეგრძელობისთვის" უკვე 6 ათასი კაცი მიიზიდა. საცხოვრებელ ადგილებში ტარდება სპარტაკიადები „სიჭაბუკე" და „ჯანმრთელობა".

დობროპოლიეს უკვე ჰყავს თავისი სპორტის ოსტატები და ოსტატობის კანდიდატები, პირველთანრიგოსნები.

დობროპოლიე თანდათან იქცევა დიდ სპორტულ ქალაქად.

ბ. ბერეზნოვი.

დობროპოლიე,
დონეცკის ოლქი.

# სასარგებლო ტურნირი

სამბისტთა რესპუბლიკურმა პირად-გუნდურმა საუწყებო პირველობამ, რომელიც თბილისში ჩატარდა, მონაწილეთა საკმაოდ დიდ რაოდენობას მოუყარა თავი. საპატიო ტიტულისთვის 200-ზე მეტი ათლეტი იბრძოდა. იყვნენ აქ გამოცდილი ოსტატები, ვეტერანები, იყვნენ ახალგაზრდებიც, რომლებმაც უდაოდ საჭირო და სასარგებლო სკოლა გაიარეს. საერთოდ, ტურნირმა ცხადყო რესპუბლიკის სამბისტთა მზარდი ოსტატობა. მთელი რიგი შეხვედრები ჩატარდა შინაარსიანად, მაღალ სპორტულ დონეზე. დარწმუნებული ვართ, ჩემპიონატის შედეგებით კმაყოფილი არიან მონაწილენიც და მაყურებლებიც, თუმცა...

საქმე ისაა, რომ ზოგიერთმა მსაჯმა საკმაოდ დაბალი კვალიფიკაცია გამოავლინა, რამაც ერთგვარი ჩრდილი მიაყენა საინტერესო და სასარგებლო ტურნირს. ეს მით უფრო საწყენია, რომ მსაჯთა შეცდომების შედეგად ზოგიერთმა გამოცდილმა სამბისტმა (ნ. ზაზუნაშვილი, ჯ. ნიჟარაძე, მ. კახაბრიშვილი, ე. ნინიაშვილი) დაკარგა მისთვის შესაფერი ადგილი.

მართალია, ტურნირი თავისი ხასიათით საუწყებო იყო, მაგრამ ორგანიზატორებმა პირად პირველობაში რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლებიც დაუშვეს. ამან ასპარეზობისადმი ინტერესი ერთიორად გაზარდა. თავი გამოიჩინეს წულუკიძის, დუშეთის, ყვარლის, სამტრედიისა და აფხაზეთის სამბისტებმა. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით საგარეჯოს, ახმეტის, სამხრეთ-ოსეთისა და აჭარის სპორტსმენებზე, რომლებმაც ტურნირში მონაწილეობას თავი აარიდეს.

ქების ღირსი არიან ის სამბისტები, რომლებმაც კარგი ფიზიკური და ტექნიკური ჭიდაობა გვიჩვენეს. მათ შორის უნდა დავასახელოთ გორელები — შ. შაქარაშვილი, თ. თვაური და შ. ჩოჩიშვილი, სამტრედიელი — ჯ. ნიჟარაძე, დუშელი — ვ. ჯინორიძე, თბილისელები — გ. სალთხუციშვილი, ჯ. ჯანანაშვილი, ე. ნინიაშვილი და სხვ. შეჯიბრების შემდეგ დაკომპლექტდა რესპუბლიკის ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში და სხვა მნიშვნელოვან შეჯიბრებებში.

ვ. ზალაშაძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი,

ა. ნინიაშვილი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

* * *

მოგვყავს ჩემპიონატის შედეგები:

**გუნდური ადგილები:** 1. „დინამო" (მწვრთნელი ა. ნინიაშვილი), 2. „ბურევესტნიკი" (მწვრთნელი გ. პაპიტაშვილი), 3. ასკ (მწვრთნელი ს. ჩიტაშვილი).

**პირადი ადგილები:** უმჩატესი. 1. ბ. ჟიჟიაშვილი („დინამო"), 2. გ. ყაყიჩაშვილი (ასკ), 3. გ. ბეინიშვილი („კოლმეურნე") და გ. აკოფოვი („დინამო").

მჩატე. 1. ჯ. ხორბალაძე („ბურევესტნიკი"), 2. ნ. ბეინიშვილი, 3. ფ. მარტყოფლიშვილი (ორივე — „დინამო") და შ. შაქარაშვილი („კოლმეურნე").

ქვემსუბუქი. 1. ი. იმერლიშვილი („ბურევესტნიკი"), 2. ჯ. ჯანანაშვილი („დინამო"), 3. გ. სალთხუციშვილი (ასკ) და ა. ხუციშვილი („კოლმეურნე").

მსუბუქი. 1. ჯ. გუთნიაშვილი („კოლმეურნე"), 2. ჯ. ნათელაშვილი (ასკ), 3. თ. დავითაშვილი („დინამო") და თ. თვაური („კოლმეურნე").

პირველი ქვესაშუალო. 1. ა. მარგველანი („დინამო"), 2. ნ. ხორგუაშვილი, 3. ა. ოქროპირიძე (ორივე — ასკ) და თ. გავარდაშვილი („განთიადი").

მეორე ქვესაშუალო. 1. რ. ქაიხოსროშვილი („ბურევესტნიკი"), 2. ე. ნინიაშვილი, 3. ს. ნიჟარაძე და ე. გიგუაშვილი (სამივე — „დინამო").

პირველი საშუალო. 1. გ. გოგოლაური (ასკ), 2. ა. მუზაევი („ბურევესტნიკი"), 3. თ. ერემეიშვილი („სპარტაკი") და ვ. იაშვილი („ბურევესტნიკი").

მეორე საშუალო. 1. შ. გელიაშვილი („დინამო"), 2. გ. კახაბრიშვილი (ასკ), 3. ა. ზურაბაული („დინამო") და შ. ჩოჩიშვილი („ბურევესტნიკი").

ქვემძიმე. 1. გ. თანდილოვი („ბურევესტნიკი"), 2. ი. ნათაძრელაშვილი (ასკ), 3. ჯ. ნიჟარაძე („კოლმეურნე"), და ვ. ჩხარტიშვილი („ბურევესტნიკი").

მძიმე. 1. რ. ოდიშელიძე (ასკ), 2. ნ. ზაზუნაშვილი („დინამო") 3. გ. გიორგაშვილი („კოლმეურნე") და ო. ქიბროწაშვილი („ბურევესტნიკი").

## არ აქვთ ბაზები, ინვენტარი

საქართველოს მოსწავლეთა (13-14 წლის ბავშვები) პირად-გუნდურ პირველობას ბათუმი მასპინძლობდა. შეჯიბრებაში 17 კოლექტივის ნორჩი მძლეოსნები მონაწილეობდნენ.

სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო სამტრედიელმა ნორა მეგენეიშვილმა, რომელმაც ბირთვი 11,70 მეტრზე ჰკრა, ბადრო კი 33,42 მეტრზე ტყორცნა (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბადროს ტყორცნაში მას ადრე უკეთესი მაჩვენებლებიც ჰქონია). კარგად გამოვიდა თბილისელი ვ. შმაკოვა სიგრძეზე ხტომაში — 5,27. ეს 13 წლის სპორტსმენისთვის მაღალ შედეგად უნდა მივიჩნიოთ. მანვე მოიგო 60 მეტრზე რბენა — 8,1. ორ სახეობაში იმარჯვა შმაკოვას თანაგუნდელმა მ. მაისურაძემ. 60 მ მან 7,5 წამში გაირბინა და 567 სმ სიგრძეზე გადახტა. ახალციხელმა ი. გარსევანიშვილმა 155 სმ სიმაღლე გადალახა, თბილისელმა ვ. ხიმონოვამ — 135 სმ. ბადროს მტყორცნელი ბიჭების შეჯიბრება რ. გულბანმა (ქუთაისი, 41,40) მოიგო. ორი გამარჯვება იზეიმა ტ. გლადილინამ (ბათუმი). მან ჯერ 60 მეტრზე თარჯრბენში იმარჯვა (10,4), შემდეგ კი 600 მეტრზე ასპარეზობაში — 1.50,8. 60 მეტრზე თარჯრბენში ბიჭებიდან საუკეთესო შედეგი (9,2) აჩვენა სპორტის ოსტატ ი. კოზელსკის ძმამ ვ. კოზელსკიმ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება თბილისის პირველ გუნდს დარჩა. II ადგილზეა თბილისის მეორე კოლექტივი. სასიამოვნოა, რომ კარგად მომზადებული მძლეოსნები გამოიყვანა ფოთმა, რომელმაც III ადგილი დაიკავა. სამაგიეროდ, კვლავ უხეიროდ გამოვიდნენ აფხაზეთის მძლეოსნები, რომლებსაც VIII ადგილი ხვდათ. როგორც ჩანს, აქ ბავშვებს „სპორტის დედოფალი" ჯერ კიდევ ვერ შეაყვარეს. თუმცა ამ მხრივ ვერც სხვა ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლები დაიქადნიან. სპორტსმენთა ნაწილი ისე სუსტად იყო მომზადებული, რომ შეფასების გარეშე დარჩა. მაგალითად, ა. ვაშაკიძემ (სამტრედია), მ. ქებაძემ (სამხრეთ ოსეთი), ო. ბექაურმა (გარდაბანი), ვ. რიბალკომ (მახარაძე)... ნოლი მიიღეს.

გუნდების წარმომადგენლები სამართლიან საყვედურს გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ, მაგალითად, ახალციხის რაიონის 36 საშუალო და რვაწლიანი სკოლიდან სახტომი ორმო მხოლოდ სამს აქვს. ახალციხეში არ იშოვება მძლეოსნური ინვენტარი, ფეხსაცმელი, სამტრედიაში ვერ მოაწესრიგეს სარბენი ბილიკები და სახტომი ორმოები, არა აქვთ დგამები სიმაღლეზე ხტომისთვის. საგარეჯოში არ არის თარჯები, ბადროები, ბირთვები, ხაშურში დღემდე არ მოხერხდა სტადიონზე მძლეოსნური სექტორების, გასახდელებისა და საშხაპეების მოწყობა.

ვ. ბერძენიშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბათუმი.

## [illegible]

### ✦ გალი

რაიონის ჭაბუკთა პირველობა კალათბურთში ქალაქის მე-3 საშუალო სკოლის გუნდმა მოიგო. გოგონებში უძლიერესნი იყვნენ ოქუმელი მოსწავლეები.

გ. ჯეჯეია.



ავჭალის სასროლეთზე დამთავრდა სპორტის ტექნიკურ სახეობებში რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ტყვიის მსროლელთა შეჯიბრება, რომელშიც თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისისა და სხვა ქალაქების დოსააფის კომიტეტების ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. ტურნირში უკონკურსოდ გამოდიოდნენ სხვა საზოგადოებებისა და უწყებების სპორტსმენები, საქართველოს ნაკრების წევრებიც. მსროლელებმა სპორტის ოსტატის 6 და სპორტის ოსტატობის კანდიდატის 8 შედეგი აჩვენეს.

ს უ რ ა თ ზ ე: სხვადასხვა ვარჯიშში გამარჯვებულნი: მარცხნიდან — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალის მხუბუქი მრეწველობის ფაკულტეტის მეორეკურსელი თ. სვანიძე, თბილისის სამხატვრო საწარმოო კომბინატის თანამშრომელი თ. ლეკიშვილი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის მეხუთეკურსელი ა. ნაცვლიშვილი ასპარეზობის შემდეგ.

ო. გელაშვილის ფოტო.

# მეოთხედფინალის კონტურები ისახება

MEXICO 70

## დასასრული

საბჭოთა ფეხბურთელებმა სულ მალე გამოასწორეს ეს წუთიერი შეცდომა. გუნდი მოქმედებდა კოლექტიურად, მაღალ ტემპში, დამაჯერებლად. მე-15 წუთზე ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა ბიშოვეცმა დაახლოებით 30 მეტრის მანძილიდან ზუსტად და ძლიერად დაარტყა და მეკარე პიო უძლური აღმოჩნდა მოეგერიებინა ბურთი — 1:0.

შესვენების შემდეგ ჩვენი გუნდი კიდევ უფრო აქტიურად ამოქმედდა და ბელგიელთა ყველა ცდა — დაეგდოთ ტემპი დამთავრდა იმით, რომ ინიციატივა მთლიანად სსრ კავშირის ნაკრების ხელთ გადავიდა. განახლდა თუ არა თამაში, ასატიანი შესანიშნავად გავიდა შეტევის ხაზზე, დრიბლინგით გასცდა მოწინააღმდეგე მცველს და ზუსტად შეასრულა გადამწყვეტი დარტყმა — 2:0. ეს მოხდა 55-ე წუთზე. შემდგომში ბიშოვეცმა კიდევ ერთხელ ისახელა თავი და მესამედ აიღო ბელგიელთა კარი. გავიდა ცოტა ხანი და ხმელნიცკიმ ბრწყინვალე თავური დარტყმით დაამთავრა ევრიუჟიხინთან გათამაშებული კომბინაცია. ანგარიში 4:0, რა თქმა უნდა, უკვე ნიშნავდა გამარჯვებას და, თუმცა, 85-ე წუთზე ლამბერტმა შეძლო ერთი ბურთის გაქვითვა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ პრესტიჟის გოლი, რომელსაც მაინცდამაინც დიდი აღფრთოვანება გუნდში არ გამოუწვევია.

ახლა ჩვენს ფეხბურთელებს სალვადორის ნაკრებთან 1 ქულაც ჰყოფნით და მეოთხედფინალის საგზური ვაზადებული იქნება. რაც შეეხება მეორე საგზურს, მისი საკითხი უნდა გადაწყვიტოს 11 ივნისის მატჩმა მექსიკისა და ბელგიის გუნდების შეხვედრაში, ვინაიდან სალვადორის ნაკრებს აღარავითარი პერსპექტივა არა აქვს.

ასევე განწირულნი არიან ჩეხოსლოვაკიელებიც, რომლებმაც გვადალახარაში უაღრესად მძიმე ბრძოლის შემდეგ დამარცხება განიცადეს რუმინელებისგან. მართალია, ჩეხოსლოვაკიის ნაკრები მე-3 წუთზე წინ იყო ანგარიშით 1:0 (პეტრაში), მაგრამ რუმინელებმა ძალზე ძლიერად ითამაშეს მატჩის მეორე ნახევარში, ჯერ გაქვითეს გოლი (ნიაგუ) და შემდეგ წინაც გავიდნენ — 2:1 (პენალტი ზუსტად გამოიყენა დუმიტრაკემ).

ასევე განწირულია მაროკოს ნაკრებიც. აფრიკელმა ფეხბურთელებმა ვერ გაუწიეს სათანადო წინააღმდეგობა პერუს გუნდს და დამარცხდნენ ანგარიშით 0:3. 2 ბურთი გაიტანა კუბილასმა, 1 — ჩალემ. სამივე ბურთი გატანილ იქნა 10 წუთში.

ფრედ — 0:0 დამთავრდა ძალზე მნიშვნელოვანი მატჩი პუებლაში ურუგვაისა და იტალიის გუნდებს შორის.

7 ივნისს საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო გვადალახარას სტადიონი. აქ მოიყარეს თავი სხვა ჯგუფების „მზვერავებმა", ე. წ. მეთვალყურეებმა და, რა თქმა უნდა, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლებმა. „ნაადრევი ფინალი" — ასე უწოდეს მატჩს მსოფლიო ჩემპიონს — ინგლისსა და ექს-ჩემპიონ — ბრაზილიას შორის. თამაში მართლაც უმაღლეს დონეზე ჩატარდა. იგი ტელევიზიით ვნახეთ და ამიტომ ხელახალ აღწერას არ შევუდგებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ ბრაზილიელებმა ერთხელ კიდევ ნათლად დაამტკიცეს თავიანთი პრეტენზიები მომავალ ჩემპიონობაზე და მასთან ერთად „ოქროს ქალღმერთის" სამუდამო მფლობელობაში მიღებაზე. პელეს გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა და დაამარცხა ჩემპიონი ანგარიშით 1:0. ამ გოლის ავტორი იყო ჟაირზინიო.

მეოთხედფინალში უკვე გავიდნენ პერუ და გფრ. დასავლეთ გერმანიის ფეხბურთელებმა დაამარცხეს ბულგარეთის ნაკრები. მათგან გოლები გაიტანეს მიულერმა (3), ლიბუდამ და ზეელერმა, ხოლო დამარცხებულთაგან — ნიკოდიმოვმა და კოლევმა.

მასპინძლებმა — მექსიკელებმა დაამარცხეს სალვადორის გუნდი — 4:0. 2 გოლი გაიტანა ვალდივიამ, თითო — ფრაგოსომ და ბასაგურენმა.

ფრედ — 1:1 ითამაშეს შვეციამ და ისრაელმა. შვედების მხრივ გოლის ავტორი იყო ტურესონი, ისრაელელებისა — შპიგლერი.

## მექსიკური რეპორტაჟი

### როცა არ ეეჭვებათ...

ზოგიერთ გულშემატკივარს ოდნავაც არ ეპარება ეჭვი, რომ ოქროს ქალღმერთის საოცნებო თასს მისი რჩეული გუნდი მოიპოვებს.

ბრაზილიის ელჩი მექსიკაში ბაპტისტა პინეირო ღრმად დარწმუნებულია, რომ მისი ქვეყნის ფეხბურთელები მესამედ მოიგებენ ყველაზე საპატიო ჯილდოს. მან უკვე გამოუყო კიდეც ამ პრიზს შესაფერი ადგილი თავის რეზიდენციაში.

ამ დღეებში პინეირომ თავის სტუმრებს მიღებაზე გამოუცხადა: „ყურადღება, ბატონებო! აი, ის ადგილი, სადაც მე 21 ივნისს ნიკეს ქალღმერთის თასს დავდგამ. მობრძანდით და ისიამოვნეთ მისი ცქერით".

### ვინ გამოიგონა ფეხბურთი?

დღემდე მიაჩნდათ, რომ ფეხბურთი ინგლისელებმა აღმოაჩინეს. მაგრამ ახლა ზოგიერთი მექსიკელი ისტორიკოსი და არქეოლოგი ამტკიცებს, რომ ეს პოპულარული სპორტული თამაში მექსიკაში იშვა.

სწავლულთა აზრით, ამ ვარაუდს ადასტურებს უძველეს ქალაქში ტეოტიხუაკანში ერთ-ერთ კედელზე ნაპოვნი გამოსახულება — კაცი, რომელიც რაღაც ბურთივით მრგვალ საგანს არტყამს ფეხს. დასკვნა ნათელია: ფეხბურთი აცტეკებმა გამოიგონეს!

### გაიგონებს მაინც

იუპის საავენტოს კორესპონდენტი გვადალახარიდან გადმოსცემს: „ინგლისის სამეფო ოჯახის წევრები და ფეხშიშველა მექსიკელი მუშები, ორი კონტინენტის მდიდარი ტურისტები და ადგილობრივი მცხოვრებნი, თვალხილულნი და ბრმები იჩქარიან სტადიონისაკენ, რათა მსოფლიოს უძლიერესი გუნდების თამაში ნახონ".

ამ ფრაზაში გადაჭარბებული არაფერია. ჩამოსულ გულშემატკივართა სამიათასიან არმიას მეთაურობს ლორდი ჰეირვუდი, დედოფალ ელისაბედის ბიძაშვილი. არც ბრმების გამო ნათქვამია ხუმრობა: ინგლისელ ტურისტებს შორის გახლავთ 50 წლის გილდფორდელი დესმონდ ერლი, რომელმაც მხედველობა სიჭაბუკის წლებში დაკარგა. მან 4800 კილომეტრი გაიარა, რათა „ხალისკოს" სტადიონზე გამართულ ასპარეზობას დასწრებოდა. საგანგებოდ დაქირავებულმა გიდმა მას უნდა აუხსნას, რა ხდება მინდორზე.

„მე უდიდეს სიამოვნებას მივიღებ სტადიონზე. ხალხის გუგუნში და ყვირილში თავს ისე ვიგრძნობ, თითქოს ვხედავდე კიდეც თამაშს", — ამბობს ერლი.

### „გადააჯვარედინეთ თითები"

თუ მექსიკაში ფეხბურთელებს პაპანაქება სიცხე, გაიშვიათებული ჰაერი და საპასუხისმგებლო მატჩების დაძაბულობა აწუხებთ, მათს მწვრთნელებს სხვაგვარი ტვირთი აწევთ.

გუნდების ხელმძღვანელებს გამუდმებით კუდში დასდევენ რეპორტიორები. ჟურნალისტები მოითხოვენ გუნდების „საბოლოო" და „ყველაზე ზუსტი" შემადგენლობის დასახელებას, პროგნოზებს, სთხოვენ მწვრთნელებს რადიოთი და ტელევიზიით გამოსვლას. ამ ტვირთს ვერც ბრაზილიელთა მწვრთნელი ზაგალო გადაურჩა. იგი იძულებული გახდა სატელევიზიო ინტერვიუ მიეცა თავისი თანამემამულეებისთვის.

მარიო ზაგალომ 90 მილიონ ბრაზილიელს მოუწოდა გაიხსენონ ძველი ცრურწმენა და მარცხენა ხელის ორი თითი გადააჯვარედინონ, როცა ბრაზილიის გუნდი მექსიკაში ითამაშებს. „დასხედით ასე ტელევიზორებთან, როცა ჩვენი გუნდის თამაშს უყურებთ, და დაგვეხმარეთ ორი ქულის მოგებაში".



სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი გ. კაჩალინი არიგებს ავტოგრაფებს.

ხ. სიჩოვის ფოტო (საკდესი)



— ახლა სხვა მყავს სათაყვანებელი — ქალღმერთი ნიკე!

ვ. კუციას ნახატი.

## ისტორიიდან...

მსოფლიო ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირები იყვნენ:

1930 წ. ხტაბილე (არგენტინა) — 8 ბურთი.
1934 წ. ნეედლი (ჩეხოსლოვაკია), კონენი (გერმანია) — 5-5.
1938 წ. — ლეონიდასი (ბრაზილია) — 7.
1950 წ. — ადემირი (ბრაზილია) — 8.
1954 წ. — კოჩიში (უნგრეთი) — 11.
1958 წ. — ფონტენი (საფრანგეთი) — 13.
1962 წ. — ალბერტი (უნგრეთი), გარინჩა, ვავა (ორივე— ბრაზილია), ივანოვი (სსრ კავშირი), ლ. სანჩესი (ჩილი) — 4-4.
1966 წ. — ეუსებიო (პორტუგალია) — 9.

## ფარდის დაშვებამდე

გორი, 8 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინწინ შედგა საქართველოს ქალთა VI საერთაშორისო ტურნირის ბოლოსწინა, XII ტური.

ყველა შეხვედრა საინტერესო იყო სხვადასხვა თვალსაზრისით. მაგალითად, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ო. რუბცოვა აშკარად ცდილობდა ყაიმით დაემთავრებინა ა. ნიკოლაუსთან (რუმინეთი) შეხვედრა, რადგან ამ შემთხვევაში მის ქალიშვილს — ე. რუბცოვას უკვე ეძლეოდა შესაძლებლობა, რომ ერთპიროვნულ ლიდერს დასწეოდა. მხოლოდ გამარჯვებაზე ოცნებობდნენ თბილისის ჩემპიონი ლ. კორომინაძე და თ. ხუგაშვილი, თუმცა მათი მეტოქენი საერთაშორისო ოსტატები — სსრ კავშირის ჩემპიონი ნ. ალექსანდრია და პოლონეთის ჩემპიონი ქ. რაძიკოვსკა იყვნენ.

ო. რუბცოვა მიზანთან თითქმის ახლოს იყო. მან მალე გაამარტივა თამაში და უკეთესი ენდშპილი მიიღო. მაგრამ შემდგომ უფერულად იბრძოდა — ალბათ ფიქრობდა, ყაიმი ისედაც განაღდებული მაქვსო. ნიკოლაუ ფხიზლად ადევნებდა თვალს მის მოქმედებას. ხელსაყრელ მომენტში იგი ინიციატივას დაეუფლა და პაიკიც მოიგო. პარტია გადაიდო.

ალექსანდრია დილით კარგად გრძნობდა თავს და ექიმმა მას სასტუმროში თამაშის უფლება მისცა. ნანამ ჩვეული ენერგიით შეუტია კორომინაძის მეფის პოზიციას, მაგრამ თბილისის ჩემპიონი ვალში არ დარჩა: ლაზიერის ფრთა დალაშქრა. იერიში იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ალექსანდრიას დაცვაზე უნდა ეფიქრა. კორომინაძემ გამსვლელი პაიკი მიიღო და გაიმარჯვა.

მართალია, ხუგაშვილმა ამ დღეს რაძიკოვსკას ვერ მოუგო, მაგრამ ზედმეტი პაიკი მაინც შეინარჩუნა. მან მთელი პარტია შესანიშნავად, ოსტატურად ჩაატარა — ცენტრში დროული მოქმედებით დაასუსტა მეტოქის პაიკები, ენდშპილში გადასვლისას კი უპირატესობა რეალობად აქცია.

ო. ანდრეევამ (ხარკოვი) მოუგო ც. კახაბრიშვილს.

ჩიქობავა — კაკაბაძისა და გეორგიევა — ო. რუბცოვას პარტიები გადაიდო.

გუშინ გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. თამაშის განუახლებლად დანებდნენ ჩიქობავა — ე. რუბცოვას, კახაბრიშვილი — ხუგაშვილს.

გადადებული და გამოტოვებული პარტიების დამთავრებამ ასეთი შედეგები მოგვცა: ყაიმზე შეთანხმდნენ გეორგიევა — მერლინი, კობაიძე — ხუგაშვილი, კობაიძე — კორომინაძე, ანდრეევა — კობაიძე, ალექსანდრია — ხუგაშვილი, ე. რუბცოვა — კაკაბაძე, ნიკოლაუ — ო. რუბცოვა. ალექსანდრიამ მოუგო ო. რუბცოვას, მაგრამ რაძიკოვსკასთან დამარცხდა. ე. რუბცოვამ სძლია გეორგიევას, კობაიძემ — მერლინს, ხუგაშვილმა — რაძიკოვსკას, ჩიქობავამ — კაკაბაძეს.

ბოლო ტურის წინ ასეთი მდგომარეობაა: ნიკოლაუს 10 ქულა აქვს 12-დან, ე. რუბცოვას — 9,5, თ. ხუგაშვილს — 8, ლ. კორომინაძეს — 7,5, ნ. ჩიქობავასა და ა. გეორგიევას — 7-7.

თ. გიორგაძე.

### ეტიუდი

ეძღვნება ქალთა საერთაშორისო ტურნირს

ვ. კალანდაძე (თბილისი)



თეთრები იგებენ

## პირველად 59 მეტრს იქით

გუშინწინ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა რესპუბლიკის უძლიერესი მხტომელებისა და მტყორცნელების პირადი შეჯიბრება. უროს ტყორცნაში შესანიშნავად იასპარეზა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის პირველკურსელმა ი. ფხაკაძემ (მწვრთნელი გ. მაიერი). მან საქართველოს სპორტსმენთაგან პირველმა შეძლო 59-მეტრიანი ზღვარის გადალახვა. ფხაკაძემ წინასწარ ტურნირშივე 59,46 მეტრი აჩვენა და 98 სანტიმეტრით გააუმჯობესა რესპუბლიკური რეკორდი, რომელიც მასვე ეკუთვნოდა.



სსრ კავშირის პირველობა

## კიდევ ერთი ქულა

7 ივნისს მოსკოვში შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი მატჩი. ადგილობრივმა ცსკა-მ მიიღო ქუთაისის ტორპედოელთა გუნდი.

ქუთაისელებმა ღირსეულად გაართვეს თავი მათ წინაშე მდგომ ამოცანას და აიღეს მეტად საჭირო ქულა — 0:0.

ტორპედოელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: გრძელიშვილი, ჩხაიძე, წვერავა, ქოხონელიძე, აბზიანიძე, ოქროპირაშვილი, ერქომაიშვილი, დეკბა, ქორიძე, ვეკუა, ქიქავა (სანაია).

ამავე გუნდების დუბლიორებმა ითამაშეს ფრედ — 1:1.

## ორივე დამარცხდა

5 ივნისს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის II ჯგუფის II ზონაში.

საქართველოს ორივე გუნდს — ბათუმის „დინამოსა" და გორის „დილას" ჰქონდათ გასვლითი მატჩები და ორივემ დამარცხება განიცადა. „დილა" თამაშობდა ვოლგოგრადში „სტალთან", ხოლო ბათუმელები — სტავროპოლში, „დინამოსთან". ორივე შეხვედრაში ანგარიში იყო 2:0 მასპინძელთა სასარგებლოდ.

I ჯგუფი

## სხვა მატჩები

მოგვყავს ამ ზონაში ჩატარებული სხვა მატჩების შედეგები: „დინამო" (მახაჩყალა) — „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) 0:0, „ფოლადი" (სუმგაითი) — „დრუჟბა" (მაიკოპი) 0:1, „დინამო" (კიროვაბადი) — „მაშუკი" (პიატიგორსკი) 2:2, „ტორპედო" (ტაგანროგი) — „შირაკი" (ლენინაკანი) 1:0, „ლოკომოტივი" (კალუგა) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 1:1, „დინამო" (ბრიანსკი) — „ტრუდი" (ვორონეჟი) 2:2, „მეტალურგი" (ტულა) — „სალუტი" (ბელგოროდი) 2:0, „სატურნი" (რიბინსკი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 0:0, „ვოლგა" (გორკი) — „ვოლგა" (კალინინი) 2:1.

## საქართველოს ჩემპიონატი

### გათამაშების ცხრილი

### I ჯგუფი

მდგომარეობა 5 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 19 | 10 | 6 | 3 | 38—16 | 26 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 17 | 10 | 5 | 2 | 33—17 | 25 |
| „ეგრისი" (ცხაკაია) | 18 | 10 | 5 | 3 | 27—15 | 25 |
| „სქური" (წალენჯიხა) | 17 | 9 | 6 | 2 | 25—10 | 24 |
| „ისანი" (თბილისი) | 19 | 7 | 10 | 2 | 21—15 | 24 |
| ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი) | 18 | 7 | 8 | 3 | 27—17 | 22 |
| „სამცხე" (აწყური) | 19 | 6 | 10 | 3 | 18—17 | 22 |
| „შეიქარი" (წულუკიძე) | 18 | 9 | 4 | 5 | 25—27 | 22 |
| „სინათლე" (თბილისი) | 18 | 8 | 5 | 5 | 27—21 | 21 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 18 | 6 | 8 | 4 | 21—18 | 20 |
| „მზიური" (გალი) | 19 | 5 | 10 | 4 | 18—18 | 20 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 18 | 4 | 9 | 5 | 20—22 | 17 |
| „ფარავანი" (გარდაბანი) | 17 | 4 | 8 | 5 | 18—18 | 16 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 19 | 2 | 11 | 6 | 16—28 | 15 |
| „ცისკარი" (სიღნაღი) | 18 | 3 | 8 | 7 | 11—16 | 14 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 18 | 4 | 6 | 8 | 11—20 | 14 |
| „ბიზანტი" (ლაითური) | 18 | 3 | 8 | 7 | 14—27 | 14 |
| „იმერეთი" (თერჯოლა) | 17 | 3 | 7 | 7 | 18—21 | 13 |
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 18 | 3 | 6 | 9 | 20—26 | 12 |
| ასკ (თბილისი) | 17 | 4 | 4 | 9 | 15—21 | 12 |
| „მშენებელი" (ბორჯომი) | 18 | 3 | 5 | 10 | 15—26 | 11 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 18 | 1 | 5 | 12 | 12—34 | 7 |

## როგორც ჩემპიონს შეჰფერის

პარდუბიცე, 6 ივნისი. აქ გაიმართა სპიდვეიში მსოფლიო პირველობის პირველი მეოთხედფინალი. ნახევარფინალის საგზურებისთვის წინასწარ ტურნირებში გამარჯვებული 16 საუკეთესო სპორტსმენი იბრძოდა. პარდუბიცეს სტარტებს 8 საუკეთესო უნდა შეერჩია. ამიტომ წიდოვან ბილიკებზე პირველივე სერიიდან უშეღავათო ბრძოლა გაჩაღდა. პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ ისეთი ცნობილი მრბოლელები, როგორიც არიან ევროპის ჩემპიონი და სსრ კავშირის ვიცე-ჩემპიონი, თბილისელი სპორტის ოსტატი ვ. კლიმენტიევი, სსრ კავშირის ჩემპიონი ი. დუბინინი (ნოვოსიბირსკი), ყინულზე რბოლაში მსოფლიოს ჩემპიონი ა. შვაბი (ჩეხოსლოვაკია). აგრეთვე, ვ. ტროფიმოვი (როვნო), ვ. ვერნერი (ჩეხოსლოვაკია), პ. ლიბინგი, გ. ფრიცი (ორივე — გდრ) და სხვები. მეტოქეებს სარბიელზე 5-5-ჯერ გამოსვლა მოუხდათ და სულ გამართულ 20 სერიაში თითოჯერ შეხვდნენ ერთმანეთს.

ოთხი სერიის შემდეგ დაწინაურდნენ კლიმენტიევი, სმირნოვი, დუბინინი და ფრიცი, რომლებმაც თავიანთი სერიები მოიგეს. უძლიერესი მაშინ გამოვლინდა, როცა ლიდერები ერთმანეთს შეხვდნენ. ეს გახლდათ კლიმენტიევი, რომელმაც ყველა სერიაში შესანიშნავად იასპარეზა, 15 ქულა მოაგროვა და I ადგილი მოიპოვა.

II ადგილზე გავიდა სმირნოვი, რომელმაც მხოლოდ კლიმენტიევთან წააგო. მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს, აგრეთვე, ტროფიმოვმა, დუბინინმა, შტანცერმა (ჩეხოსლოვაკია), ფრიცმა, შვაბმა და ხლინოვსკიმ.

სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი



## ორი წრის შემდეგ

ერთი კვირაც და განახლდება კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. ჩვენი ქვეყნის უძლიერეს კოლექტივებს ჩასატარებელი დარჩათ III წრის მატჩები. როგორი მდგომარეობაა გადამწყვეტი შეხვედრების წინ? დღეიდან კალათბურთის მოყვარულებს ვთავაზობთ „ჩემპიონატის სტატისტიკას ორი წრის შემდეგ".

### ცსკა (მოსკოვი)

არმიელი კალათბურთელები დამაჯერებლად ლიდერობენ. მიუხედავად იმისა, რომ კიდევ დარჩათ სათამაშო II წრის ერთი მატჩი, ისინი უახლოეს მეტოქეს — კაუნასის „ჟალგირისს" მთელი 3 ქულით უსწრებენ. ცსკა-მ სულ 21 შეხვედრა ჩაატარა, 19 მოიგო და მხოლოდ ორი მატჩი წააგო. არმიელებს ბურთების შეფარდებაც ჩინებული აქვთ — 1784—1469.

ლიდერმა პოზიციები უმთავრესად მეორე წრეში განიმტკიცა, სადაც 10 მატჩიდან ყველა მოიგო (I წრეში მას მოგებული აქვს 11-დან 9 მატჩი). შარშანდელ ჩემპიონატში ცსკა-ს 21 შეხვედრის შემდეგ მხოლოდ 15 ქულა ჰქონდა და სატურნირო ცხრილში III ადგილზე იყო თბილისის „დინამოსა" და ლენინგრადის „სპარტაკის" შემდეგ.

| | მ. | წ. | ჯ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| 1. ანდრეევი | 21 | 640 | 49 | 386 |
| 2. ს. ბელოვი | 20 | 546 | 31 | 240 |
| 3. სიდიაკინი | 19 | 373 | 64 | 205 |
| 4. კაპრანოვი | 21 | 429 | 70 | 200 |
| 5. ქარმუხამედოვი | 18 | 341 | 71 | 148 |
| 6. ბლიკი | 21 | 365 | 66 | 123 |
| 7. ილიუკი | 17 | 254 | 50 | 110 |
| 8. ვოლნოვი | 10 | 190 | 32 | 71 |
| 9. მილოსერდოვი | 14 | 147 | 40 | 66 |
| 10. კოვირკინი | 14 | 171 | 49 | 62 |
| 11. სელიხოვი | 13 | 199 | 45 | 59 |
| 12. ნესტეროვი | 12 | 118 | 33 | 35 |
| 13. მედვედევი | 12 | 121 | 33 | 33 |
| 14. გილგნერი | 7 | 103 | 30 | 27 |
| 15. კულკოვი | 11 | 141 | 32 | 17 |
| 16. ხარჩენკო | 1 | 7 | 1 | 2 |

### „ჟალგირისი" (კაუნასი)

შარშან II წრის შემდეგ ლიტველ კალათბურთელებს 15 ქულა ჰქონდათ და სატურნირო ცხრილში III-IV ადგილებს იყოფდნენ მოსკოვის არმიელებთან. „ჟალგირისი" წლეულსაც II-IV ადგილებს იყოფს (კიევის „სტროიტელთან" და ლენინგრადის „სპარტაკთან"), მაგრამ მეტოქეებთან შეხვედრების უკეთესი ბალანსი აქვს და ამიტომაც, II ადგილზე იმყოფება. 22 შეხვედრის შემდეგ „ჟალგირისმა" 16 ბრძოლა მოიგო, 6 წააგო. ბურთების შეფარდება — 1753—1687. კაუნასელებმა პირველი და მეორე წრე ერთნაირი შედეგებით დაამთავრეს — 8 გამარჯვება და 3 მარცხი.

| | მ. | წ. | ჯ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| 1. პაულაუსკასი | 22 | 655 | 75 | 482 |
| 2. ბუდნიკასი | 22 | 598 | 85 | 261 |
| 3. ვენზბერგასი | 22 | 532 | 96 | 199 |
| 4. ჟუკაუსკასი | 22 | 491 | 73 | 176 |
| 5. სარპალიუსი | 22 | 469 | 39 | 161 |
| 6. პატკაუსკასი | 22 | 360 | 64 | 127 |
| 7. გედრაიტისი | 22 | 604 | 73 | 110 |
| 8. შიდლაუსკასი | 17 | 212 | 57 | 75 |
| 9. ლინკიავიჩუსი | 14 | 135 | 30 | 55 |
| 10. ბიშლისი | 12 | 99 | 24 | 34 |
| 11. იურკშტაისი | 13 | 89 | 30 | 23 |
| 12. ვენცლოვასი | 7 | 71 | 7 | 15 |
| 13. ჩუპკოვასი | 7 | 69 | 23 | 13 |
| 14. რუზგასი | 3 | 57 | 6 | 13 |
| 15. რიბკუსი | 1 | 4 | 0 | 3 |
| 16. ჟუკაიტისი | 1 | 4 | 0 | 0 |

შენიშვნა: მ. — მატჩი, წ. — წუთი, ჯ. — ჯარიმა, ქ. — ქულა.

## ახალი ამბები

● კოტსდამი, 6 ივნისი. აქ გამართულ შეჯიბრებაში ბ. პოლაკმა მძლეოსნურ ხუთჭიდში 5089 ქულა მოაგროვა. პოლაკი მსოფლიოში მესამე ქალია, რომელმაც 5-ათასიანი ზღვარი გადალახა. აი, მისი მაჩვენებლები ცალკეულ სახეობებში: 100 მ თარჯრბენი — 13,9, ბირთვი — 15,18, სიმაღლე — 165, სიგრძე — 608, 200 მ — 24,6.

● ბუქარესტი, 6 ივნისი. 19 წლის კ. პოპესკუმ „ფოსბიური-პლოფით" 184 სმ სიმაღლე დაძლია. იგი მეორე სპორტსმენი ქალია, რომელმაც ამ ყაიდით ასეთი შედეგი აჩვენა. აქვე ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლ. მანოლიუმ ბადრო 57,58 მეტრზე ტყორცნა.

● მოსკოვი, 7 ივნისი. „მოსკოვის დიდ რეგატაში" ბულგარეთის, გდრ-ის, პოლონეთის, რუმინეთისა და სსრ კავშირის 70 სპორტსმენი მონაწილეობდა. ვაჟთა შეჯიბრებაში ყველაზე კარგად გდრ-ის ნიჩბოსნებმა იასპარეზეს. მათ ხუთი გამარჯვება მოიპოვეს. მასპინძლებმა მოიგეს ორი დისტანცია. ორადგილიანებით ტურნირში ყველას ლენინგრადელებმა აჯობეს, ხოლო მესაჭიანი ოთხადგილიანებით — მოსკოვის არმიელებმა. ქალებში მასპინძლების უპირატესობა აშკარა იყო. ხუთიდან ოთხი გამარჯვება — ასეთია მათი მაჩვენებელი.

● მოსკოვი, 7 ივნისი. გაზეთ „ტრუდის" პრიზის XX გათამაშებაში 30 კილომეტრზე რბენაში გამარჯვებისთვის ბულგარეთის, ბელგიის, ჩეხოსლოვაკიის, იაპონიის, გდრ-ის, ნორვეგიის, სსრ კავშირისა და სხვა ქვეყნების 250 სპორტსმენი იბრძოდა. ის მძლეოსნები, რომლებიც საკონტროლო დროში (1 საათი, 44 წუთი) ჩაეტეოდნენ, სამახსოვრო მედლებს ღებულობდნენ. გაიმარჯვა ა. სკრიპნიკოვმა, რომელმაც ტრასის რეკორდი დაამყარა — 1:32.13. II და III ადგილებზეც საბჭოთა სპორტსმენები — ვ. ვოლკოვი და ა. მუხამედიანოვი გავიდნენ.

## თბილისელი მსაჯი — ათეულში

სსრ კავშირის ფრენბურთის ფედერაციამ დაამტკიცა ქვეყნის საუკეთესო მსაჯთა ათეული, რომელშიც შევიდნენ ვ. ვინოგრადოვი (ლენინგრადი), რ. იუსუფოვი (ბაქო), ბ. ლეონოვი, ა. ლოგინოვი, კ. მოროზი (ყველა — მოსკოვი), გ. პლოტნიკოვი (კისლოვოდსკი), ს. პოპოვი (მოსკოვი), რ. სამედოვი (ჩიმკენტი), ვ. სკორნიაკოვი (მოსკოვი), ლ. სტეპანიანი (თბილისი).

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

## ფავორიტებიც, ახალგაზრდებიც...

სსრ კავშირის „კლასიკოსთა" ნაკრებს წლეულს ორი მნიშვნელოვანი ტურნირი მოელის: ერთია ევროპის პირველობა, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ დაიწყება გდრ-ის დედაქალაქ ბერლინში. მეორეა — მსოფლიოს ჩემპიონატი (მოეწყობა ივლისის დასაწყისში კანადაში). ცხადია, ამ და ბევრ კიდევ სხვა ტურნირში მონაწილეობისთვის აღიარებულ ფავორიტებთან ერთად გულმოდგინედ ემზადებიან ახალგაზრდა, პერსპექტიული ათლეტები.

ერთი ასეთი ტურნირი ახალგაზრდობის მონაწილეობით წახკაძორში ჩატარდა. ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკიდან 5 „კლასიკოსი" მონაწილეობდა: ე. მეგრელიშვილი (57 კგ), ო. ტატიშვილი (62 კგ), ზ. ლეკვეიშვილი და თ. სირბილაძე (68 კგ), ე. გოგლიჩიძე (90 კგ). ამათგან სამმა — ტატიშვილმა, ლეკვეიშვილმა და გოგლიჩიძემ I ადგილები დაიკავეს, ხოლო მეგრელიშვილი II ადგილზე გავიდა.

დაკომპლექტდა სსრ კავშირის ნაკრები, რომელშიც უმთავრესად ახალგაზრდა ათლეტები მოხვდნენ. ესენი არიან: ვაინბერგი (ლენინგრადი), ოლზოევი (ნოვოსიბირსკი), დავითიანი (გროზნო), ტოპოროვი (ალმა-ათა), კოზინი (ლენინგრადი), კლინსტონი (რიგა), მაჭავარიანი (თბილისი), რიაზანცევი (ალმა-ათა), მერკულოვი (ვორონეჟი), კაჩნევი (ომსკი).

ამათ გარდა, მსოფლიო ჩემპიონატისათვის ემზადებიან გამოჩენილი ოსტატები — რურუა, ბლიაძე, ლეკვეიშვილი, გოგლიჩიძე, მორჩილაძე.

## ვინც თავი გამოიჩინა

ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა სპეციალური სიგელებით დააჯილდოვა მსაჯები (კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში), რომლებმაც თავი გამოიჩინეს 1969 წლის სეზონში.

დაჯილდოებული არიან შემდეგი არბიტრები: 1. ს. ყასაბიანი (ერევანი, „აშხატანქი"), 2. ნ. ჩუჩალოვი (მინსკი, „ბურევესტნიკი"), 3. შ. ნოზაძე (თბილისი, „სპარტაკი"), 4. ა. საზონოვი (მოსკოვი, „ზენიტი"), 5. ა. კრუზიტისი (რიგა, „ვარპა"), 6. ლ. ტონკიავიჩუსი (კაუნასი, „ლოკომოტივი"), 7. ვ. ანისიმოვი (მოსკოვი, „სპარტაკი"), 8. გ. მამალიგა (მოსკოვი, „ლოკომოტივი"), 9. ა. იოიცკი (ლენინგრადი, „ტრუდი"), 10. ს. სპირიდონოვი (ლვოვი, „დინამო").

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)



9 ივნისი

სსრ კავშირის პირველობა

I ჯგუფი

„ლოკომოტივი" (თბილისი)
„კარპატი" (ლვოვი)

მატჩის დასაწყისი 19 საათზე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 04294